

## **რეკეტი**

### **შესავალი**

რეკეტი წარმოადგენს შემოსავლის ან სხვა ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებულ არაერთჯერად და ორგანიზებულ საქმიანობას, თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც 5 კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტორის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა.

რეკეტი არალეგალური ბიზნესია, რომელიც როგორც წესი შედის ორგანიზებული დანაშაულის შემადგენლობაში. რეკეტში მონაწილე პირს მოიხსენიებენ რეკეტორად.

რეკეტის რამდენიმე ფორმა არსებობს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ეგრედწოდებული „კრიშის“ ინსტიტუტი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რეკეტორი ითხოვს ფულს ბიზნესისაგან და სანაცვლოდ სთავაზობს მას დაცვას დანაშაულებრივი სამყაროსაგან.

რეკეტის მეორე ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს უკანონო თამაშები ლატარიები.

როგორც წესი, სიტყვა რეკეტს იყენებენ ისეთი ბიზნეს ორგანიზაციების აღსაწერად, რომლებიც დაკავებულნი არიან „პრობლემების მოგვარების“ გაყიდვით. ეს ინსტიტუტე თავად ქმნის პირობებს იმისთვის, რომ გამოიწვიოს ბიზნესისაგან მფარველობის მოთხოვნა და შემდეგ თვითონვე ეხმარება ბიზნეს ამ პრობლემების მოგვარებაში გარკვეული საფასურის სანაცვლოდ.

ტერმინი რეკეტი პირველად გამოყენებულ იქნა 1927 წელს ჩიკაგოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ, რომლის წევრებიც პირველნი გახდნენ ორგანიზებული დანაშაულის ამ ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინების მსხვერპლნი.

### **რეკეტი ქართულ სისხლის სამართალში**

რეკეტი, რეკეტული დაჯგუფება, რეკეტორის შესახებ 17<sup>1</sup> მუხლი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილს დაემატა 2004 წლის 24 ივნისს, ხოლო 2006 წლის 25 ივლისს სსკ კერძო ნაწილს დაემატა 224<sup>1</sup> მუხლი – რეკეტული დაჯგუფებაში მონაწილეობა.

საერთოდ რეკეტი ნიშნავს გამოძალვას, მაგრამ ჩვენი კანონმდებელი მასში მხოლოდ გამოძალვას არ გულისხმობს.

ამ დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება. ობიექტური მხრივ იგი მოქმედებაში გამოიხატება და რაიმე მძიმე შედეგის დადგომა არაა აუცილებელი დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის. ამდენად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. კერძოდ, ეს მოქმედებაა დამოუკიდებლად ან სხვა პირთან ერთად

(პირებთან) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობის წარმართვა. ამდენად პირი თავად დამოუკიდებლად ან სხვასთან წარმართვას (ხელმძღვანელობს) რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას. იმისათვის, რომ გავიგოთ რეკეტული დაჯგუფების არსი, ჯერ უნდა გავერკვეთ თავად რეკეტის ცნებაში. სსკ 17<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რეკეტი არის შემოსავლის (მაგალითად, ფულის) ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის (მაგ., უფასო მოგზაურობის) სისტემატურად (არანაკლებ სამჯერ) მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან, თუ ეს დანაშაული განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში.

როგორც ვხედავთ, რეკეტირის საქმიანობა უნდა იყოს არა მარტო არაერთჯერადი, არამედ ორგანიზებულად (ორგანიზებული ჯგუფის ცნება მოცემულია 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში). ამიტომ რეკეტად ჩაითვლება არაერთჯერადად და ორგანიზებულად მითვისების ჩადენა ორჯერ ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში; ასევე ქრთამის აღება იმავე პირობებისას და ა.შ. ე.ი. ყოველგვარი თუნდაც ძალმომრეობითი დანაშაულის ჩადენა მე-17<sup>1</sup>-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ ვითარებაში სარგებლის მოღების მიზნით რეკეტია.

რაც შეეხება რეკეტულ დაჯგუფებას, ასეთად ითვლება თავისი საქმიანობით რეკეტთან დაკავშირებული იურიდიული პირი, აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც თავისი ფორმით ორგანიზებული ჯგუფია.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის შემდეგი ნიშანია სხვაგვარი მონაწილეობა რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში. აქ იგულისხმება რეკეტული დაჯგუფების საქმიანობისათვის ხელის შეწყობა (და არა ხელმძღვანელობა). მაგალითად, რაიმე განზრახი დანაშაულის ჩადენით ან დაფარვით გამორჩენის მისაღებად.

დავების უკანონოდ გადაწყვეტა, რეკეტულ დაჯგუფებათა შორის ან რეკეტული დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის ნიშნავს იმას, რომ რეკეტის სათანადო კანონიერი საფუძველის გარეშე, თვითნებურად წყვეტს ამგვარ დავებს, ე.ი. ასრულებს მოსამართლის როლს. ასეთი დავები, როგორც წესი, ქონებრივი ხასიათისაა. აღნიშნული ფორმატიც – “დავების უკანონო გადაწყვეტა” ქურდული სამყაროს ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. თუმცა დავების გადაწყვეტაში მონაწილეობის დროს რეკეტირი არ ასრულებს ერთპიროვნული მოსამართლის როლს, (კანონიერი ქურდისგან განსხვავებით) მაგრამ სხვა რეკეტირთან ერთად ამ პროცესის მონაწილეა.

როცა დავა მიმდინარეობს რეკეტულ დაჯგუფებათა შორის, ამ დროს სულ მცირე ორი რეკეტული დაჯგუფება უნდა იყოს ჩართული ამ დავაში, სხვა პირი კი არის ნებისმიერი ფიზიკური პირი (14 წელს მიღწეული, შერაცხადი).

საინტერესოა, რომ რიგ ქართველ მეცნიერ-იურისტთა აზრით: “რეკეტულ დაჯგუფებას შორის დავის გადაწყვეტა უნდა განვასხვაოთ გარჩევისაგან (223<sup>1</sup> მ.) ქურდული გარჩევის დროს ქურდული სამყაროს წევრი წყვეტს ორ ან მეტ პირს შორის არსებულ დავას და ამ დროს საქმის გარჩევას თან უნდა ახლდეს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო მოქმედება (მაგალითად, ბოროტი დაცინვა და აბუჩად აგდება), რაც არაა აუცილებელი რეკეტული გარჩევის დროს. გარდა ამისა, ქურდული გარჩევისას დავას წყვეტს ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც მოქმედებს ე.წ. “ქურდული კანონებით” და სწორედ ამ “კანონის” შესაბამისად წყვეტს მხარეთა შორის არსებულ დავას. ხოლო რეკეტული გარჩევა არ ექვემდებარება რაიმე წინასწარ დადგენილ წესს, ამდენად რეკეტული გარჩევა შეიძლება იყოს უფრო რასაც ვერ სასტიკი” [1, 320]. დავეთანხმები, რამდენადაც დავის გადაწყვეტა და გარცევა ამ შემთხვევებში ერთი და იგივე შემადგენლობისა და შინაარსის მატარებელია და არანაირად არ განსხვავდება იმ მომენტისაგან იყო თუ არა ხილული ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, (დაშინება, მუქარა, იძულება და ა. შ.) თუ ყოველივე გარეგნულად მიმდინარეობდა ხილულ “კეთილგანწყობილი საუბრის” ფორმატში. საქმე იმაში გახლავთ რომ “კანონიერი ქურდის” სტატუსი, მის მიერ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტი, მისი “გადაწყვეტილების აუცილებლობა” “ქურდული კანონების” შესაბამისად, მისი შეუსრულებლობა, თავისთავად დაშინებაც, მუქარასაც და იძულებასაც მოიცავს.

ამასთან საყურედრებოა, რომ პრაქტიკაში მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, მაინც ბუნდოვანია ანტირეკეტული ნორმების მიზანი, რეგულაციის სფერო, პრობლემა შეიქმნა დანაშაულის სხვადასხვა ფორმებიდან მისი გამიჯვნისას. აღნიშნული მიზეზების გამო, ახალი ანტირეკეტული ნორმები პრაქტიკულად უმოქმედოა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის გაყოფილების ინფორმაციით, სასამართლო წარმოებაში რეკეტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არ განხილულა: “2005-2007 წლებში არ შემოსულა საქმეები სსკ-ის 17<sup>1</sup> და 224<sup>1</sup> მუხლებით”.

ზემოჩამოთვლილი ნორმა ორგანიზებული ჯგუფის სპეციალური, კრიმინალიზებული ფორმაა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერჯერობით არ არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა. ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა მხოლოდ კონკრეტულ გამოვლინებებს არეგულირებს, მაგრამ მათ გარეთ მოუწესრიგებელი რჩება დანაშაულებრივი საქმიანობის საკმაოდ დიდი წრე.

2006 წლის 15 ივლისის კანონის 224<sup>1</sup>-ე მუხლი ანტირეკეტულ ნორმებში შეიძლება წინადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიოთ, რადგანაც აღნიშნული ნოვაციის წყალობით ნორმა სანქციით აღიჭურვა და დამოუკიდებელი დანაშაულის სახედ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში, მაგრამ კვლავ გაურკვეველია, რა მოიაზრება რეკეტულ საქმიანობად. თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელს რეკეტი გამოძალვის ერთ-ერთი სახედ მიაჩნია, მაშინ უსაზრისოა გამოძალვის ორი შემადგენლობის – ზოგადის და სპეციალურის – არსებობა იმ დროს, როდესაც გაურკვეველია, რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

“რიკოს” კანონი 1961-ე პარაგრაფში ადგენს საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს იმ დელიქტებისა, რომლებიც ითვლება “რეკეტულ საქმიანობად”. აღნიშნულ საქმიანობად მიჩნეულია, მაგალითად, “ჰობსის” კანონის დარღვევა, ფულის გათეთრება, მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება, მექრთამეობა, თაღლითობის სხვადასხვა სახეები, სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლა, ნაქურდალის საერთაშორისო გადაზიდვა, კრედიტის უკანონოდ მიღება და ა.შ.” [2, 110].

რეკეტირობის ძირითად ნიშნად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17<sup>1</sup>, 224<sup>1</sup> მუხლებისა და “ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ” სპეციალური კანონით მოიაზრება ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, დანაშაულის სიმრავლე კი აღნიშნული ორგანიზებულობის გამოხატვის ფორმაა. “როგორც სსკ 171 მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რეკეტი დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულის ინსტიტუტების მიჯნაზე დგას. სახელდობრ, რეკეტის განმარტების თანახმად, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად და ორგანიზებულად”.

“დანაშაულებრივი შეთანხმების” ინსტიტუტი ორგანიზებულ დანაშაულთა, განსაკუთრებით მისი ზედა ეშელონების, წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღია. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისგებაში მიეცნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ არ განუხორციელებიათ რაიმე “აშკარა მოქმედება” საკმარისია, დამტკიცდეს ის ფაქტი, რომ ისინი “შეთანხმების” მონაწილეები არიან. ამერიკული “რიკოს” კანონის ავტორები, დაეყრდნენ რა “დანაშაულებრივი შეთანხმების” სტატუსს, და მასში აღწერილ დებულებებს, შეიმუშავეს ახალი, “ორგანიზაციული შეთანხმების” კონცეფცია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც “რიკო” საკმაოდ ეფექტური გამოდგა ორგანიზებულ დანაშაულებებთან ბრძოლაში, არის ზუსტად “ორგანიზაციული შეთანხმების” ახალი კონცეფციის დამსახურება.

“ორგანიზაციული შეთანხმება” მნიშვნელოვან იარაღად იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდნენ კრიმინალურ დაჯგუფებებს, პირადად იშვიათად არღვევდნენ კანონს. “რიკომ” ისეთი ფორმულირება მისცა “დანაშაულებრივი შეთანხმების” ნორმებს, რომ შესაძლებელი გახდა პასუხისგებაში მიცემულიყვნენ ისინი, ვინც რეალურად წარმართავდა ორგანიზებულ დანაშაულებებს.

ქართველ მეცნიერთ ერთი ნაწილის აზრით, “ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვისთვის საჭიროა საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულებრივი ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნება და აღნიშნული ცნების შემუშავებისას დავეყრდნოთ “რიკოს” “ორგანიზაციული შეთანხმების” ძირითად დებულებებს, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას, რადგანაც ზუსტად პასუხისმგებლობის ფარგლების “რიკოსეული” გადაწყვეტა იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა თავკაცების სამართლიანად დასჯის საფუძველად” [3, 10].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში მოიაზრება როგორც ორგანიზებული ჯგუფი, ისე დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ქართველმა კანონმდებელმა ეს ორი განსხვავებული მოვლენა ერთი ცნების ქვეშ მოაქცია.

## დასკვნა

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტირეკეტული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემას ეფექტურად ვერ მოერგო და ვერ შეეთავსა არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს. გაურკვეველია მათი რეგულაციური სფერო. როგორც ზემოთ მოყვანილმა ანალიზმა გვაჩვენა, საქართველოში არ იქნა გათვალისწინებული არათუ კრიტიკული წინადადებები, რაც აშშ-ს ანტირეკეტული ნორმების მიმართ არის გამოთქმული, არამედ “რიკოს” პროგრესული კონცეფციების თანამიმდევრობით გადმოღებაც კი ვერ მოვახერხეთ. სამართლებრივი ინსტიტუტის რეცეფციის დროს უმთავრესია შინაარსის და არა ფორმის გათვალისწინება. სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებელმა რეკეტული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ნორმებში ასახა “რიკოს” ფორმა და არა მისი შინაარსი. ყოველივე აღნიშნულის გამო, ანტირეკეტული ნორმები დღესდღეობით პრაქტიკულად უმოქმედოდაა და მათ მკვდარ შემადგენლობად გადაქცევის საფრთხე ემუქრება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ლეკვეიშვილი მ. თოდუა ნ. გვენეტაძე ნ. მამულაშვილი გ. 2008. *სახელმძღვანელო სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*, თბილისი: მერიდიან.
2. დაუთაშვილი პ. 2008. *საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი*. თბილისი: გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. გორაშვილი გ. 2007. ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. *ჟურნალი მართლმსაჯულება*, მარტი 10-11.
4. საქართველო. პპარლამენტი. 1999 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. თბილისი: საკანონმდებლო მაცნე<sup>1</sup> 41.